

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტები და საქართველოს თანაინვესტირების ფონდი

საქართველოში საინვესტიციო აქტიურობა 1998 წლიდან იწყება. უცხოელი ინვესტორები დაინტერესებული იყვნენ არა მთლიანად სახელმწიფო საწარმოო სექტორით, არამედ ცალკეული დარგებით, კერძოდ, ტრანსპორტის სექტორით, რომელშიც ძირითადი წილი ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობაზე მოდიოდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რუსეთიდან ჩამოყვანილმა ბიზნესმენმა და ლიბერტარიანულად შერაცხულმა კახა ბენდუქიძემ, რომელიც საქართველოს „სინგაპურად“ გადაქცევის იდეის მომხრე იყო, საქართველოში დაიწყო ეკონომიკური რეფორმების გატარება. მისი ცნობილი ფრაზა – „გავყიდოთ ყველაფერი, სინდისის გარდა“, კარგად გამოხატავდა სახელმწიფო ქონების მასობრივი პრივატიზაციის პროცესს. რეფორმებს მოჰყვა სამთავრობო უწყებების საერთოდ გაუქმება ან მათი რაოდენობის შემცირება, გადასახადების შემცირება, ძალზე ლიბერალური შრომითი კანონმდებლობის მიღება და სხვ. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების საბაბით საქართველოს მთავრობამ უარი თქვა განეხორციელებინა შრომის ბაზრის, კონკურენციის შეზღუდვის, სურსათის უვნებლობისა და სხვა სახეობის რეგულაციები, ასევე გააუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა, რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური გარემო. მაგრამ რეგულაციების შემცირებამ საქართველოში ბიზნესის წარმართვა გაამარტივა, რამაც თავიდან მოიხიდა კიდევ ინვესტორები, რის შედეგადაც საქართველოში 2007 წლამდე იზრდებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა. მაგალითად, თუ 2005 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიდიდე 449,8 მილიონი აშშ დოლარი იყო და მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში 7 პროცენტს შეადგენდა, 2007 წელს 2014,8 მილიონ აშშ დოლარს და მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებაში 19,7 პროცენტს მიაღწია, ხოლო 2008 წლიდან უცხოური ინვესტიციები თანდა-

ალექო ქუთათელაძე
სტუ-ის პროფესორი
მაია ქალიაშვილი
სტუ-ის დოქტორანტი

თან შემცირდა და 2011 წლის წინასწარი მონაცემებით 643 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება ძირითადად გამოიწვია რუსეთის სამხედრო აგრესიამ. რუსული სამხედრო შენაერთების ყოფნა ინვესტორებს აფრთხობს, მაგრამ არა რუს ინვესტორებს, რომლებიც მნიშვნელოვან ინვესტიციებს აბანდებენ ენერგეტიკულ, საბანკო და სამთო-მოპოვებით დარგებში. ამავდროულად საქართველოსთვის რუსეთის ბაზარი ფაქტობრივად დახურულია. მთავრობის წევრების განცხადებით, გლობალური საფინანსო კრიზისისა და შემცირებული საინვესტიციო ნაკადების ფონზე ის იძულებულია რუსეთის შემოთავაზებებზე უარი არ თქვას და ანტირუსული პოლიტიკის ფონზე რუსულ კომპანიებს წარმატებულ საქმიანობაში ეხმარებიან, რაც, ძირითადად, სტრატეგიული ობიექტების მათთვის მიყიდვაში გამოიხატება. მაშინდელ საქართველოს პრეზიდენტს იმედი ქონდა, რომ რუსეთის მხრიდან ასე მაინც შეასუსტებდა პოლიტიკურ ზეწოლას.

2008 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 476.6 მლნ აშშ დოლარი (კლება წინა წელთან შედარებით შეადგენს 656.0 მლნ აშშ დოლარს). 2009 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 224.7 მლნ აშშ დოლარი (კლება წინა წელთან შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგენს 251.9 მლნ აშშ დოლარს). 2010 წელს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ 248.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, 2011 წელს კი 554,2 მლნ აშშ დოლარი, რაც 306 მლნ

ინვესტიციები და ინოვაციები

ევროკავშირის ძველების მიერ საქართველოში განხორციელებული
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)

ქვეყნები	2008	2009	2010	2011	2012	2013 I კვარტალი
სულ	1 564.0	658.4	814.5	1 117.2	865.2	226.2
ევროკავშირი	476.7	224.7	248.2	554.2	402.2	78.7
ავსტრია	51.5	29.7	10.0	28.5	7.6	0.7
ბელგია	0.06	0.1	0.02	-0.02	0.2	0.4
ბულგარეთი	0.01	-0.3	-0.09	0.9	2.1	0.2
კვიპროსი	26.2	-1.6	40.4	10.4	39.6	5.3
ჩეხეთი	34.9	45.7	24.2	46.6	-33.8	10.2
დანია	0.3	-0.4	0.02	97.2	3.6	1.8
ესტონეთი	-0.2	5.7	-0.05	-0.3	0.3	0.1
ფინეთი	-	-	1.5	1.0	1.2	0.4
საფრანგეთი	8.2	12.0	-7.8	7.4	26.9	-6.6
გერმანია	40.6	21.3	12.8	25.5	141.7	6.4
საბერძნეთი	-1.9	1.5	4.5	1.2	0.7	0.1
უნგრეთი	1.0	-0.05	-	-	-0.05	-0.03
ირლანდია	0.2	0.06	0.3	0.3	-0.03	-6.0
იტალია	6.0	1.7	5.1	-5.2	1.0	-1.5
ლატვია	0.8	-0.02	-	-0.1	1.0	0.6
ლიტვა	-0.1	3.6	2.4	-1.8	-5.8	-1.5
ლუქსემბურგი	5.7	9.5	7.1	43.3	41.8	1.4
მალტა	-	-	16.8	6.2	13.4	4.2
ნიდერლანდები	135.9	32.6	73.4	241.8	87.5	34.9
პოლონეთი	0.02	0.01	0.1	0.2	2.0	-0.002
პორტუგალია	0.1	0.02	0.02	-0.004	0.02	-
რუმინეთი	5.4	-	-0.01	0.04	-0.05	-
სლოვაკეთი	-	0.02	0.01	0.02	5.3	0.6
ესპანეთი	5.5	0.1	0.1	0.03	4.4	-0.7
შვედეთი	7.6	-8.8	-1.6	-3.6	-5.2	3.4
დიდი ბრიტანეთი	148.9	72.3	59.0	55.0	66.8	18.3
ევროკავშირის წილი %	30.5	34.1	30.5	49.6	46.5	34.7

დოლარით აღემატებოდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. წინასწარი მონაცემებით, 2012 წელს საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პირდაპირი ინვესტიციების ნაკადმა 402.2 მლნ აშშ დოლარი, 2013 წლის I კვარტალში კი 78.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.¹

გამოცდილებამ აჩვენა, რომ ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და განხორციელებას. ინვესტორი ფირმები ფლობენ უპირატესობებს – ტექნოლოგიების, პატენტების, ნოუ-ჰაუს სახით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების დამატებით წყაროს, ხელს უწყობს დასაქმებას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის დონის ამაღლებას, მოწინავე ტექნოლოგიების ტრანსფერს, გზას უხსნის კაპიტალდამანდებების სხვა ფორმებს, როგორიცაა: საბანკო სესხი და პორტფელური ინვესტიციები. უცხოელი ინვესტორები უპირატესობას ანიჭებენ ბაზრის სიდიდესა და მოსახლეობის რაოდენობას. იმისათვის, რომ ინვესტორებმა რომელიმე ქვეყანაში კაპიტალი დააბანდონ, განიხილავენ ისეთ რისკებს, როგორიცაა: პოლიტიკური რისკი – თუ როგორ იქცევა კონკრეტული ქვეყნის მთავრობა; ეკონომიკური რისკი – ვალუტის გაცვლითი კურსის სტაბილურობა, ბაზარზე შესვლასთან დაკავშირებული ხელშემშლელი ფაქტორები, ინფრასტრუქტურა, კვალიფიციური სამუშაო ძალა, და სოციალური რისკი – ენა, რელიგია და სხვ. დღევანდელი მთავრობა აქტიურად ცდილობს მოიზიდოს რაც შეიძლება მეტი უცხოელი ინვესტორი და ამაყობს განხორციელებული ეკონომიკური რეფორმებით, რის საფუძველზეც გამართვდა ბიზნესის დაწყება საქართველოში. ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს იმ ქვეყნებში, რომლებიც, თავის მხრივ, ადგილობრივი ინვესტორების ნდობითაც ხასიათდება. ინვესტიციებისთვის აუცილებელია ადგილობრივი რესურსების მოზიდვა და ნაზოგების შესაქმნელად, რომელიც სამუშაო ადგილების შექმნისთვის უნდა დაიხარჯოს, ექსპერტების შეფასებით, ერთი სამუშაო ადგილის შექმნას 50 ათასი აშშ დოლარი სჭირდება, უკანასკნელი მონაცემებით დაახლოებით 335 ათასი კაცია უმუშევარი, გამოდის, რომ ამდენივე სამუშაო ადგილის შესაქმნელად 16,8 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია არის საჭირო, რაც დღესდღეობით საქართველოსთვის მიუწვდომელია. MIGA-ს მონაცემებით, ინვესტორებისთვის უმნიშვნელოვანესია სოციალური და

პოლიტიკური სტაბილურობა, ამიტომ ხელისუფლებამ უნდა დაანახოს მათ, რომ საომარი მოქმედებები მოსალოდნელი აღარ იქნება და სტაბილური გარემოს შექმნაზე მიმართული მთელი ძალისხმევა. ამავე მონაცემებით ასევე მნიშვნელოვანია ლიბერალური ბიზნესგარემო, ინფრასტრუქტურა და საყოფაცხოვრებო პირობები, რითაც ჩვენი მთავრობა ასე ამაყობს, მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ევროპულ კანონმდებლობაზე, ფაქტობრივად ამის საპირისპიროდ ვითარდება. ამის თვალსაჩინო მაგალითად შრომის კანონმდებლობა გამოდგება, სადაც დასაქმებულთა ინტერესები მინიმუმამდეა დაყვანილი. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ასევე სანამ რეალურად განხორციელდება ის რეფორმები, რომლებიც უცხოელი ინვესტორებისთვის ინვესტირების ხელსაყრელ გარემოს შექმნიდა, აუცილებელია ადგილობრივი ინვესტორების ხელშეწყობა და მათი მოტივაციის გაძლიერება, რათა სამშობლოში დააბანდონ თავიანთი კაპიტალი.

2013 წლის ივლისში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივითა და პოტენციურ ინვესტორთა ძლიერი მხარდაჭერით, ქართველ და უცხოელ ინვესტორთა ჯგუფმა საქართველოში დააფუძნა ახალი კერძო საინვესტიციო ფონდი, რომელიც მოიზიდავს დაფინანსებას მსხვილი კომპანიებისგან, სუვერენული ფონდებისა და დიდი კაპიტალის მფლობელი ფიზიკური პირებისგან.²

კერძო საინვესტიციო ფონდი ინვესტორებს უქმნის ხელსაყრელ პირობებს და აძლევს განსაკუთრებულ შესაძლებლობას საქართველოში მოახდინონ პორტფელური და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება. უახლოეს მომავალში ფონდის მმართველი გუნდი ასრულებს ფინანსური რესურსების მოძიებას. დღეისთვის მოზიდული ინვესტიციების მოცულობა 6 მილიარდ აშშ დოლარს უტოლდება და ფონდმა საინვესტიციო საქმიანობა 2013 წლის სექტემბრიდან დაიწყო.

საქართველოში ფონდი ინვესტიციებს შემდეგ ძირითად სექტორებში განახორციელებს: ენერგეტიკა, ინფრასტრუქტურა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ფონდს ხელმძღვანელობს აღამასრულებელი დირექტორი, ბატონი გიორგი ბაჩიაშვილი და მმართველი დირექტორები: ბატონი გიორგი კიკვაძე, ბატონი ირაკლი მენაბდე და ბატონი ცოტნე ებრაელიძე. ფონდის ხელმძღვანელობა შერჩეულ იქნა სხ-

¹ <http://mfa.gov.ge>

² <http://geonews.ge>

ვადასხვა ინდუსტრიაში მათი მრავალმხრივი პროფესიული გამოცდილების, გამორჩეული მმართველობის სტილის და მსოფლიო მასშტაბებით ოპერირებად მრავალ კომპანიასთან თანამშრომლობის გამოცდილების საფუძველზე. აღნიშნული ფაქტორი თავის მხრივ ფონდს უქმნის საფუძველს გახდეს უნიკალურად დივერსიფიცირებული საინვესტიციო ინსტრუმენტი, რომელიც ინვესტორებს საშუალებას მისცემს მაქსიმალურად ეფექტიანად განახორციელონ ინვესტიციები საქართველოში. ფონდის გენერალური დირექტორის დანცხადებით „ფონდი კონკრეტულ პროექტში ინვესტიციების განხორციელების შემდეგ რჩება მმართველობაში გარკვეული პერიოდით, რომელიც აუცილებელია პროექტის განვითარებისთვის, რის შემდეგაც ასხვისებს პროექტს სტრატეგიულ ინვესტორზე ან ახდენს მის საჯარო განთავსებას საფონდო ბირჟაზე. პროექტის ხელმძღვანელობის პერიოდში ფონდის მთავარ მიზანს პროექტის მაღალი და მზარდი ღირებულების შექმნა წარმოადგენს.“

დღევანდელი მდგომარებით, ფონდის არსებული და პოტენციური ინვესტორების სია მოიცავს: დაბი ჯგუფს (Dhabi Group), რაკიას (RAK

Investment Authority), აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო ფონდს (State Oil Fund of the Republic of Azerbaijan), ბათუმის პორტს და ნავთობ ტერმინალს, კომპანია ყაზტრანსოილს (KazTransOil), ჩალიკ ჰოლდინგს (Calik Holding A.S), მაილსთონ ინტერნეშენალ ჰოლდინგს (Milestone International Holdings Group Limited), ბიძინა ივანიშვილს, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს და სხვა ინვესტორებს.

ფინანსთა მინისტრთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს მორიგ სხდომაზე მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილეს. ეკონომიკური სფეროს ექსპერტები “საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტს გაეცნენ, რომელიც პარლამენტში დასამტკიცებლად მთავრობამ შეიტანა.³

„ამ გადასახედიდან, რა ტენდენციაც ფიქსირდება ეკონომიკაში, გათვლები არის ოპტიმალური. 5%-იანი ეკონომიკური ზრდა მომავალ წელს მიღწევადია, გააჩნია როგორ განვითარდება საინვესტიციო ასევე სამომხმარებლო აქტივობა და ზოგადად, რა ტენდენციები იქნება მომავალი წლის თუნდაც პირველ კვარტალში,“ - განაცხადა მრჩეველთა საბჭოს წევრმა ირაკლი ლექვინაძემ.

ECONOMIC EFFECTS IN FOREIGN DIRECT INVESTMENT AND GEORGIAN CO-INVESTMENT FUND

ALEKO KUTATELADZE

Professor at GTU

MAIA KALIASHVILI

Doctorant of GTU

It is necessary, that government should encourage implementation and attracting foreign investment for country development. Investor firms have advantages like - technology, patents, know – how. Foreign direct investment is an additional source of capital accumulation, promoting employment, qualification level of the workforce, advanced technology transfer, helping other ways of investments, such as, bank loans and portfolio investments. Foreign investors prefer to market size and population. To investors in the country's capital investments, discuss the risks, such as political risk - how does a country's government, economic risk - exchange rate stability, market access-related factors, infrastructure, skilled labor force, and social risk - language, religion and so forth.

³ <http://geonews.ge>